

ნინო დონდოლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

nino.dondoladze@bsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.20>

მეტაფორული სტრუქტურა რობერტ ფროსტის ლექსში


რობერტ ფროსტის პოეზია დღემდე მრავალი მკითხველის ყურადღებას იქცევს. მისი ლექსები ერთი შეხედვით სადა და მარტივია, მაგრამ ფილოსოფიური შეხედულებების და მნიშვნელოვანი ღირებულებების გამომხატველი. ავტორის მსოფლმხედველობრივი მომენტები და სხვა იდეები მრავალპლანიანი ტექსტით მიდის მკითხველთან. ასეთი ტექსტის შემქნელი ძირითადად ფროსტის მეტაფორაა. იგი ხდება მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც რობერტ ფროსტი სათქმელს გადმოსცემს.

როგორც ცნობილია, ზოგადად მეტაფორაში შეიძლება აისახოს კონკრეტული ავტორის ქვეყნის, ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის და ინდივიდუალური მახასიათებლები (ნათამდე). რ. ფროსტს თავისი ინტერესის გამო ამერიკული რეალობის მიმართ „ახალი ინგლისის პოეტს“ ეძახიან. ახალი ინგლისი ის გარემოა, სადაც ფროსტმა ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. [Robert Frost | Biography, Childhood, Poems, Books, Awards, & Facts | Britannica](#) ჩემთვის საინტერესო იყო დაკვირვება რა ტიპის მეტაფორაა გამოყენებული რობერტ ფროსტის პოეზიაში და რამდენად აირეკლავს იგი ამერიკული კულტურის მახასიათებლებს. მეტაფორის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ვაანალიზებთ რობერტ ფროსტის ლექსებს. ხატოვანების ამ თეორიაში ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად აღებულია კავშირის ხასიათი მეტაფორის პირველ და მეორე მნიშვნელობას შორის და არსებობს რეალური, იმპრესიონისტული, ექსპრესიული, გრამატიკული და აბსოლუტური ტროპები. რეალისტურ ტროპში კავშირის ხასიათი პირველ და მეორე მნიშვნელობას შორის ობიექტურ, რეალურ სამყაროში არსებულ კავშირს ეფუძნება და მკითხველისთვის ადვილად ამოსაცნობი (მაგ. „Dear Nature is the kindest mother still...“ (ბაირონი); იმპრესიონისტულ ტროპში კავშირი სუბიექტურია, ავტორის შინაგან სამყაროში არსებულ თავისუფალ ასოციაციებიდან მომდინარეობს (მაგალითად, „ლურჯთვალეზა მოთმინება“ (ზ. ხარანაული). ექსპრესიული ანუ მსოფლმხედველობითი ტროპი ავტორის აღმოჩენილია და მის ორიგინალური მსოფლმხედველობის ელემენტს გამოხატავს („გახსოვს ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა...“ (გალაკტიონი). nat უკიდურესად სუბიექტურია ტროპი, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში აბსოლუტურ მეტაფორას უწოდებენ (მაგალითად, „the narrow wind“ – ვიწრო ქარი (დ. ტომასი). nat ასეთი ტროპის მნიშვნელობის ამოცნობა შეუძლებელი ჩანს. გრამატიკულ ტროპს, რომელშიც ეფექტი გრამატიკული ნორმების დარღვევით მიიღწევა, პირობითად ეწოდება ტროპი (მაგალითად, ნაწყვეტი ე.დიკინსონის ლექსიდან: „...the stiff heart questions/was it that bore...“ (ნათამდე გვ. 233-243)

ჩვენს მიერ გაანალიზებულ რ. ფროსტის ლექსებში გამოყენებული მეტაფორები ობიექტური, „რეალური“ ტიპის აღმოჩნდა. როგორც უკვე ავღნიშნე, რეალურ ტროპში

კავშირი მეტაფორის პირველ და მეორე მნიშვნელობას შორის რეალურ სამყაროში არსებულ ობიექტურ კავშირებს ემყარება მისი ახსნა მკითხველისთვის იმპრესიონისტულ და ექსპრესიულ ტროპთან შედარებით ადვილია.

რ. ფროსტის პოეტიკის ერთ-ერთი თავისებურებაა, რომ მისი ლექსი გამოკვეთილად მრავალპლანიანია და თავად ხდება მთლიანობაში მეტაფორა. ამგვარ ლექს-მეტაფორაში სხვა მარტივი მეტაფორები ქმნიან დამატებით ასოციაციებს და იქმნება ლექსის ფროსტისეული ფორმა, სადა თავისი შინაარსით, მაგრამ გაჟღენთილი ქვეტექსტებით და მრავალი ასოციაციის შემქმნელი. სქემატურად ეს ასე შეიძლება გამოისახოს:




რობერტ ფროსტის ლექსი „For Once Then Something“ (1923 წელს გამოქვეყნდა). ლირიკული გმირი ჭაში იხედება, ხედავს თავის ანარეკლს და სიღრმეში ამჩნევს სითეთრეს, რომელიც, როგორც თავად ამბობს, შეიძლება ჭეშმარიტებაა (თვითონ რ, ფროსტი ზოგჯერ ლექსში იძლევა ერთგვარ გასაღებს და ამ ლექსშიც კითხულობს: იყო ეს სიმართლე?). ლექსი მთლიანობაში მეტაფორაა. პირველი მნიშვნელობაა ჭაში ჩახედვა და გვირგვინისა და ღრუბლების ფონზე წყალში გაურკვეველი სითეთრის დანახვა. მეორე მნიშვნელობაა ჭეშმარიტების, ღვთაებრივის ძიება (ჭაშიც ზეცა აირეკლება), რომელიც ადამიანისთვის ბოლომდე მიუწვდომელია. ამ ლექს-მეტაფორაში სხვა ტროპებიცაა გამოყენებული („Me myself in the summer heaven godlike/Looking out of a wreath of fern . . .“, „Water came to rebuke the too clear water.“) ეს ტროპები რეალურია, კავშირი პირველ და მეორე მნიშვნელობას შორის ადვილი ამოსაცნობია, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის ზეზუნებრივს უკავშირდება. ისინი თავის მხრივ დამატებით თავისუფალ ნიშნებს წარმოშობენ მკითხველის ცნობიერებაში. ამგვარ მეტაფორათა ზედდებით (ლექსი-მეტაფორის მთლიანი კონტექსტით გამოხატული მეტაფორისა და ლექსში გამოყენებული მეტაფორების ერთობლიობით) იქმნება რ. ფროსტის მრავალპლანიანი, ასოციაციებით მდიდარი ლექსის ფორმა, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს სისადავეს სხვა მახასიათებლებთან ერთად ტროპის რეალურობის გამო.

რაც შეეხება რობერტ ფროსტის მეტაფორის შინაარსობრივ მხარეს, ტროპი, მეტაფორა რობერტ ფროსტის ლექსში როგორც პირველი, ასევე მეორე მნიშვნელობით უნივერსალურ ღირებულებებთან ერთად ამერიკული რეალობის, ამერიკული კულტურის ამსახველია. საინტერესოა, რომ რ. ფროსტის ერთ-ერთ ლექს-მეტაფორაში „კედლის შეკეთება“ („Mending Wall“) ერთროულად ორი კულტურის, ამერიკულ კულტურაში არსებული ორი ტენდენციის გამოხატვა ხდება.

ლირიკული გმირი განასახიერებს კულტურას, რომელშიც კედლის აღმართვა ბუნების რაღაც წესრიგს, კანონზომიერებას ეწინააღმდეგება („Something there is that doesn't love a wall...“). მეორე პოზიცია, რომლითაც განსხვავებული ტენდენცია გამოიხატება, მეზობლისაა, ვისთვისაც გამყოფი კედელი, ღობე აუცილებელია, კარგი მეზობლობის შეინარჩუნებისთვის („Good fences make good neighbors.“). ლექსი

მეტაფორულია, მრავალპლანიანი და ამავე დროს ლექსში გამოყენებულია რეალური ტროპები („To each the boulders that have fallen to each/.And some are loaves and some so nearly balls...“; „My apple trees will never get across/And eat the cones under his pines, I tell him.“). საინტერესოა ის, რომ ლექსი მთლიანადაა მეტაფორა, თავისი ორი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით და ასახავს ორი განსხვავებული კულტურის, ეთოსის თანაარსებობას. ამერიკაში სახლების ირგვლივ ან გაზონებია ძირითადად, ან მცენარის ზოლი გამოიყენება გამყოფად ან, შეიძლება, იყოს ხის ღობე. თუმცა, გაშლილი გაზონები ყველაზე ხშირად გვხვდება. არსებობს ქვის ღობეებიც, მაგრამ უფრო იშვიათად. ახალი ინგლისი ერთერთი ადგილია, სადაც ქვის ღობეები ჯერ ისევ დარჩენილია კოლონიალური ხანიდან. „ოსართულიანი ამერიკის“ ნიშნები გარკვეულწილად აისახება ამ ლექსში, ქმნის მეტაფორის პირველ მნიშვნელობას. მეორე მნიშვნელობით ლექსში „კედლის შეკეთება“ ორი სამყარო ხვდება ერთმანეთს: ლალი და ჩაკეტილი, ძველი და ახალი. ეს უნივერსალური სურათია, რაც ყველგან შეიძლება მოხდეს. ფროსტის ლექსი უნივერსალურთან ერთად ასახავს ამერიკული ლიტერატურის და საერთოდ, კულტურისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს – ამერიკულ კულტურას სურს თავისუფალი იყოს ინგლისური გავლენისგან. ზოგადად, ინგლისური გავლენისგან თავის დაღწევის სურვილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც ამერიკულ ლიტერატურაში აისახა და რომელმაც გავლენა მოახდინა ამერიკული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაზე. ამგვარად, რ. ფროსტთან ლექსი-მეტაფორა როგორც პირველი, ასევე მეორე მნიშვნელობით ამერიკული კულტურის ამსახველი ხდება. თუმცა, როგორც უკვე ავღნიშნე, ეს მეტაფორა უფრო ფართო მნიშვნელობისაა, უნივერსალური: ძველი და ახალი სამყაროს შეხვედრას გამოხატავს. ამ ლექსში რომეო და ჯულიეტას ტრაგედია არ მოხდება. აქ რბილად, მეტაფორის საშუალებით შემოდის ორი ეპოქა, ორი განსხვავებული კულტურა. ჩვენს მიერ ზემოთ მეტაფორის სტრუქტურის ამსახველი სქემა ამ იდეის საილუსტრაციოდაც გამოდგება.



რ. ფროსტის ლექსი („კედლის შეკეთება“) თავისი ფორმით მრავალი ასოციაციის შემქმნელი მეტაფორაა.

ასევე არ არის ერთპლანიანი ლექსი-მეტაფორა „გზა, რომელიც არ ავირჩიე“ („Road not Taken“), რომელიც დღემდე ერთერთი ყველაზე უფრო პოპულარული ლექსია ამერიკულ ლიტერატურაში. ლექსში განზოგადებული სახითაა დახატული არჩევანის გაკეთების პროცესი, რაც ასე მნიშვნელოვანია ზოგადად ნებისმიერ კულტურაში, მათ შორის ამერიკულ კულტურაში, რომელიც ინდივიდუალისტურია. იმისთვის რომ გზა განაგრძოს, ფროსტის ლირიკული გმირი იძულებულია შეჩერდეს და აირჩიოს გზა. ეს მნიშვნელოვანი პროცესი შეიძლება სევდისმომგვრელი აღმოჩნდეს იმიტომ, რომ ადამიანის შესაძლებლობები მაინც შეზღუდულია და ყოველთვის რჩება გზები, რომელსაც სურვილის მიუხედავად ადამიანი ვერ გაივლის. ლირიკული გმირის მგზავრობა ბუნებაში ცხოვრების მეტაფორა ხდება. თავად ტექსტში სხვა ტროპებიცაა გამოყენებული, კვლავ ხდება ასოციაციების ზედდება და ემფატიკური გზით გამოიხატება პოეტის

მსოფლმხედველობრივი მომენტები. რ. ფროსტის მიერ შექმნილი ლექსი მეტაფორაა ასოციაციებით მდიდარი და ამავე დროს სადა და მარტივი.

მეორე პოპულარული ლექსი „შეჩერება ტყეში თოვლიან ღამეს“ (**Stopping by Woods on a Snowy Evening**) თავისი ფორმით ასევე ლექსი-მეტაფორაა, კონკრეტული მგზავრი მიდის სადღაც, დანიშნულების ადგილას, მაგრამ ფაქტიურად ეს ცხოვრების გზაა. თავად ლექსის შინაარსობრივ დეტალებს რაც შეეხება, მრავალნაირად შეიძლება გაიშიფროს თუ რატომ ჩერდება მგზავრი ტყეში. დამატებით ასოციაციებს ქმნის გაპიროვნება, ცხენისა და მხედრის კომუნიკაცია. მთლიანობაში ამ ლექს-მეტაფორაში აისახება ამერიკული კულტურის ღირებულებები(დროის დაფასება, საქმისა და დადებული პირობისთვის ერთგულება), რაც ლირიკული გმირისთვის უპირველესი მნიშვნელობისაა. ამ ლექსშიც მასში გამოხატული იდეური მხარის გარდა საინტერესო ხდება მეტაფორის სტრუქტურის თავისებურება.

რ. ფროსტის ერთ-ერთი ლექსი „მიდის, მიდის – “ („Out, Out–“) ერთი შეხედვით არ არის გამოკვეთილად მრავალპლანიანი ლექსი-მეტაფორა, მაგრამ ასეთად აღიქმება მასში გამოხატული განზოგადების საშუალებით. ლექსი გადმოცემს პატარა ბიჭუნას ტრაგიკულ ამბავს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვია, იძულებულია შეასრულოს მისი ასაკისთვის მძიმე ფიზიკური სამუშაო და ამ პროცესში ელექტროხერხი მოაჭრის ხელს. საბოლოოდ ბავშვი იღუპება. სამყარო მყისიერად ივიწყებს მის ტრაგედიას და საკუთარ საქმეს მიუბრუნდება.

ლექსის სათაური „Out, Out–“ შექსპირული ალუზიაა, ნაწყვეტია მაკბეტის ცნობილი მონოლოგიდან ტირე დაუსრულებლობის განცდას ქმნის. დაუსრულებლობის იდეის გამომხატველი ეს შექსპირული ალუზია განზოგადების გამომხატველია და დამატებითი ქვეტექსტის შემქმნელი. შემდეგ ლექსი ამერიკულ ყოფას აღწერს (ვერმონტის მხარე, სოფელი, რთული პირობები, სადაც ბავშვი იძულებულია იშრომოს და მისთვის არაუსაფრთხო შრომის იარაღი გამოიყენოს.). ლექსის პირველივე ხაზი მეტაფორაა (რაც მასში ჩადებული შინაარსის მნიშვნელობას უსვამს ხაზს)– გაპიროვნებულია ხერხი („The buzz saw snarled and rattled in the yard...“) WYARO, ანუ მექანიკური სამყარო, ცივილიზაციის ელემენტი, რომელიც ლექსში ბავშვის გარდაცვალების მიზეზი ხდება. ხერხი ტრაგედიის მომენტშიც მეტაფორულადა აღწერილი (the saw,/As if to prove saws knew what supper meant,/Leaped out at the boy’s hand, or seemed to leap—). ამბავი სრულდება ხაზით: „And they, since they/Were not the one dead, turned to their affairs.“ WYARO („და რადგან თავად არ იყვნენ გარდაცვლილები, ყველამ თავის საქმეს დაუბრუნდა“). მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი მიმდინარეობს (ხელსაწყო ელექტროა), მაგრამ ასე არ ხდება ადამიანებთან, ისინი ინდიფერენტულები რჩებიან მეორე ადამიანის დაკარგვის მიმართ. გამოიხატება სამყაროს შესახებ პოეტის შეხედულება: ცივილიზაცია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიკეთეს, მის როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ცხოვრებას. ჩანს, რომ რობერტ ფროსტი კულტურპესიმისტია..

ლექსის ბოლო ხაზი თავისი ზოგადი შინაარსით (საქმეს იმიტომ მიუბრუნდნენ, რომ თავად არ იყვნენ გარდაცვლილები) სხვადასხვა ასოციაციებს იწვევს. თუნდაც, მსგავსია პიტერ ბრეიგელის ნახატში („იკაროსის ვარდნა“) გადმოცემული: შინაარსის: იკაროსის სიცოცხლე სრულდება, მხვნელი კი მშვიდად ხნავს, სამყარო თავისი წესით აგრძელებს ცხოვრებას. განსხვავება ისაა, რომ ბრეიგელის ნახატში მხვნელი ვერ ხედავს იკაროსს,

რობერტ ფროსტის ლექსში საზოგადოების თვალწინ ხდება პატარა ბიჭის გარდაცვალება, რასაც საქმით დაკავებული ადამიანები სწრაფად ივიწყებენ.



პიტერ ბრეიგელი, „პეიზაჟი იკაროსის ვარდნიტ“ (მიიჩნევა, რომ ეს პიტერ ბრეიგელის დაკარგული სურათის ასლია)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რ. ფროსტის მრავალპლანიანი ლექსი-მეტაფორა ასახავს მისტიურ პლანსაც. მისი არსებობა რ. ფროსტის ლექსში პირდაპირ უკავშირდება ამერიკელთა რელიგიურ შეხედულებებს.-ამ ქვეყანაში სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 2/3 ქრისტიანია), <https://www.pewresearch.org/religion/2022/09/13/how-u-s-religious-composition-has-changed-in-recent-decades/>), აღიარებს ღმერთის არსებობას და მიაჩნია, რომ ღვთისმშობიში ერის წარმომადგენელია. ლექსი „Once by the Pacific“ თავისი ბუნების სურათის აღწერით ფაქტიურად სამყაროში არსებული კანონზომიერების აღიარების გამოხატულებაა. ლექსში მეტაფორის ნაირსახეობა, გაპიროვნებებია გამოყენებული. მათი არსებობა ფროსტის ლექსში სხვა ელემენტებთან ერთად ასახავს ავტორის შინაგან სწრაფვას ბუნების მიმართ. ბუნებასთან კავშირი მრავალი ამერიკელისთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის შექმნის პირველი დღეებიდანვე. ამ კავშირის მნიშვნელობის შესახებ წერდნენ ტრანსცედენტალისტები, რომელთა შეხედულებებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს როგორც ზოგადად ამერიკული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაზე ასევე ბუნების შესახებ წერაზე. თავად რობერტ ფროსტი ტრანსცედენტალისტების რ.ვ. ემერსონის ესეებს და ლექსებს, ისევე როგორც ჰ.დ. თოროს „უოლდენს“ მისთვის საინტერესო ათ საუკეთესო წიგნს შორის ასახელებს.

ტრანსცედენტალისტების მიხედვით ბუნება, ღმერთი, ადამიანი ერთ მთლიანობას ქმნის. ეს შეხედულება გარკვეულწილად აირეკლა რ.ფროსტის ლექსში „ერთხელ წყნარ ოკეანესთან“. იგივე შეხედულების ასახვა ხდება რობერტ ფროსტის სხვა მეტაფორაშიც ლექსში „არყის ხეები“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ლექსია რ. ფროსტის პოეზიაში თავისი მეტაფორებით. ლექსში არყის ხეებით იხატება ჩრდილოეთ ამერიკის მიმზიდველი ზამთრის პეიზაჟი. ლირიკული გმირი იგონებს არყის ხეებს, ბავშვურ თამაშობებს, ბიჭს, რომელიც არყის ხით აიჭრება ცაში. მას აგონდება თავისი ბავშვობაც, როცა თავადაც არყის ხით „ადიოდა“ ცაში და იგივეს გაკეთება უნდა ახლაც, რომ

გავიდეს დედამიწიდან, ოღონდ დროებით. რ. ფროსტისთვის დედმიწაა სიყვარულის ადგილი, უნდა რომ ავიდეს ზეცაში, მაგრამ დაბრუნებაც მნიშვნელოვანია. ეს ლექსი ადამიანზეა, ვისაც ბავშვობის ნოსტალგიური მოგონება უჩნდება და საფიქრალით და ზრუნვით დაღლილს ამ ქაოტურ ყოფაში („life is too much like a pathless wood“) თავადაც უნდა ითამაშოს, არყის ხეებზე ჩამოეკიდოს და გაეცალოს დროებით ამ სამყაროს.

ჩვენთვის საინტერესო იყო ერთად დახვავებული ტროპების (რაც ხშირი მახასიათებელი არ არის რობერტ ფროსტის ლექსის) ფუნქციაზე დაკვირვება:

„Often you must have seen them
Loaded with ice a sunny winter morning
After a rain. They click upon themselves
As the breeze rises, and turn many-colored
As the stir cracks and crazes their enamel.
Soon the sun's warmth makes them shed crystal shells
Shattering and avalanching on the snow-crust—
Such heaps of broken glass to sweep away
You'd think the inner dome of heaven had fallen.

ამ რთულ მეტაფორაში აისახება ერთიანობა ადამიანის (you), ბუნების (მეტაფორებით გაცოცხლებული არყის ხეები სოციუმის წევრებია) , ტრანსცედენტალურის (ყინული, რომელიც თოვლზე ცვივა ზეცის შიდა გუმბათს გავს) და ხდება ამით ტრანსცედენტალისტების შხედულების გამომხატველი, რომ ღმერთი, ბუნება, ადამიანი ერთ განუყოფელ მთელს ქმნის.

ფროსტის ეს ლექსი-მეტაფორა მთლიანად გამოირჩევა ასოციაციების სიმდიდრით, მეტაფორების ზედდებით. ეს ჩრდილოეთ ამერიკის ზამთრის დღის სურათია ტრანსცედენტალურ სამყაროსთან ერთად ასახული მეტაფორაში. არყის ხეზე თამაში მრავლისმომცველი მეტაფორა ხდება. მისი საშუალებით გამოიხატება ადამიანის სულიერი მდგომარეობა, ტრანსცედენტულთან მიახლოების და ამ ქაოტური სამყაროდან გაქცევის სურვილიც, სამყაროს შემეცნების, მეტის გაგების სურვილი. მისი მნიშვნელობის ბოლომდე დაზუსტება, ერთ მნიშვნელობამდე დაყვანა შეუძლებელია. არყის ხეებზე თამაში გარკვეულწილად სუბიექტურ მეტაფორად რჩება.

ჩემს მიერ გამოყენებული ხატოვანების თეორიის მიხედვით, სხვასთან ერად რეალისტური მეტაფორის გარდა, როგორც უკვე ვთქვით, არსებობს ექსპრესიული ტროპი, რომელში პირველ და მეორე მნიშვნელობას შორის კავშირი მწერლის, პოეტის აღმოჩენილია და ტროპი მის მსოფლმხედველობით მომენტებს გამოხატავს. მეტაფორის ამ ტიპს ჩემს მიერ გამოყენებული თეორია ავტორები უწოდებენ მსოფლმხედველობის გამომხატველ ანუ ექსპრესიულ მეტაფორას (ნათამე). რ. ფროსტის ლექს-მეტაფორებს აქვს თავისებური, საინტერესო ფორმა და ავტორის მსოფლმხედველობრივი მომენტების გამომხატველია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ფროსტის ლექსი-მეტაფორები გაშლილი „ექსპრესიული“ მეტაფორებია, ავტორის მსოფლმხედველობის და მისი სულიერი გამოცდილების გამომხატველიასეთი გაშლილი ექსპრესიული მეტაფორის არსებობა პირდაპირ კავშირშია პოეტის თეორიულ შეხედულებასთან, რომ პოეზია თავის თავში უკვე მეტაფორაა.

რობერტ ფროსტის პოეზიის ყველაზე დამახასიათებელ საინტერესო ნიშნად მისი ფილოსოფიური, იდეური მხარის გარდა რჩება ლექსში მეტაფორის სტრუქტურის

თავისებურება, რომელზედაც ზემოთ გვექონდა მსჯელობა და რომელსაც ეძღვნება ჩვენი მოხსენება.

Nino Dondoladze

Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

nino.dondoladze@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.20>

Metaphoric Structure in Robert Frost's Poetry

Abstract

Robert Frost's poetry seems to be simple and plain on the surface but it reflects important philosophical views and values often conveyed through multi-layered text. A metaphor becomes an important means through which Robert Frost expresses his message. In general, metaphors can reflect characteristics of a country, a culture, an epoch, a literary movement a specific author belongs to, as well as individual characteristics of an author. It was interesting to study what kinds of metaphors are applied in Robert Frost's poetry and to what extent they reflect characteristics of American culture. Poems by Robert Frost have been analysed through the criterion of the typological classification of metaphors suggested by Maia and Giorgi Natadze. According to their theory of imagery metaphors are categorized into five types: real, impressionistic, grammar, expressive, and absolute metaphors.

It turned out that metaphors used in Robert Frost's poetry are "objective" or "real" which means that the connection between the first and the second meanings of a metaphor is grounded in connections existing in the real world allowing readers to perceive their meaning relatively easily.

It is one of the characteristics of R. Frost's poetics that his poems function as metaphors as a whole and are multi-layered. In such poem-metaphors additional effect is produced by other simple and short metaphors used within the text. As a result, an interesting form of R. Frost's poem is created. It is simple and plain in its content but at the same time is permeated with different associations and subtle subtexts.



Robert Frost's poems in line with the above scheme have an interesting form and through it express the poet's Weltanschauung. Consequently, it can be said that R. Frost's poem-metaphors are extended "expressive" metaphors and their existence is directly connected with the poet's view that "metaphor is the whole of poetry".

As to the content, literal and figurative meanings of metaphors reflect universal values as well as characteristics of American culture. It is interesting that in Robert Frost's poem-metaphor two different cultures, two tendencies existing in American culture are reflected simultaneously. Softly,

through metaphors two different epochs and ethos are reflected in the poem. The above scheme can be used as an illustration in this case too.

Robert Frost's metaphors often reflect themes of responsibility, time, and commitment, all of which are essential values in American culture. It is also conveyed through a metaphorical poem that R. Frost is a cultural pessimist to some extent.

R. Frost's poem-metaphors reflect different characteristics of American life. Some metaphorical poems contain mystic layers which in their turn are connected with religious beliefs of most Americans (according to the statistical data a vast majority of Americans believe in the existence of the supernatural and consider themselves to be representatives of God-fearing people).

In Frost's poetry a metaphor underscores the profound bond between humanity and nature. This belief is also an important element of American culture since the very first days of the foundation of the country.

R. Frost's extended metaphor also conveys the transcendentalists' view that God and humanity and nature are interconnected and form one harmonious entity.